

დავით მერკვილაძე

**1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები
ქართლ-კახეთის სამეფოსათვის (1783-1787 წლები)**

Davit Merkviladze

The Outcome of Signing the Georgiyevsk Treaty by the Kingdom of Kartli and Kakheti (1783-1787)

Abstract: On July 24, 1783, the treaty signed in Georgiyevsk between the Kingdom of Kartli and Kakheti and the Russian Empire, radically changed political situation in the region. The Ottoman Empire was outraged as Erekle II came under Russian subordination and Russian troops arrived in his kingdom.

Encouraged by the Ottomans, Dagestan's leaders permanently raided East Georgia. The Dagestani raiders used to find their shelter in the territory of Akhaltsikhe (Ahiska) eyalet, from where they attacked the Georgian kingdom.

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გაფორმდა ე. წ. მფარველობითი ხელშეკრულება. ეს მოვლენა ისტორიოგრაფიაში შემთხვევით არაა მიჩნეული ერთგვარ გარდამტეხ მიჯნად რუსულ-ქართულ პოლიტიკურ ურთიერთობებში. დაახლოებით სამი საუკუნის ისტორიის მქონე აღნიშნულმა ურთიერთობებმა უკვე ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახე მიიღო. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ორ არათანაბარზომიერ სახელმწიფოს შორის დადებულმა ტრაქტატმა მთლიანად შეცვალა პოლიტიკური ვითარება მთელს კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც. ეს ვითარება, უპირველეს ყოვლისა, ძალიან მალე უკიდურესად უარყოფითად აისახა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც საბოლოოდ აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებულ სამეფოს არსებობის შეწყვეტის ფასად დაუჯდა. არსობრივად შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ მოგვიანებით განსაზღვრა დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროების შემდგომი ბედიც – ერთი-მეორის მიყოლებით მათაც უკიდურესად რუსული იმპერიის შორეული პროვინციების ხვედრის გაზიარება მოუწიათ.

გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი არსი

სანამ უშუალოდ გეორგიევსკის ხელშეკრულების შედეგების განხილვაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობ, უპირიანი იქნება, მოკლედ შევჩერდეთ აღნიშნული ტრაქტატის შინაარსისა და რაობის საკითხზე. ამ ხელშეკრულების მიხედვით ორივე მხარე გარკვეულ

ვალდებულებებს იღებდა თავის თავზე. კერძოდ, ქართლ-კახეთის მეფე პირობას დებდა, რომ: 1. არ ცნობდა არც ერთი სხვა სახელმწიფოსადმი რაიმე დამოკიდებულებას და აღიარებდა მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაეს ხელისუფლებას და ფიცს დებდა მის სამუდამო ერთგულებაზე; 2. არ აწარმოებდა საგარეო პოლიტიკას რუსეთის წარმომადგენლობასთან შეუთანხმებლად; 3. საჭიროების შემთხვევაში ემსახურებოდა რუსეთის იმპერიას თავისი სამხედრო შესაძლებლობებით; 4. არ შეავიწროებდა იმპერატორის ქვეშევრდომებს თავის სამეფოში; 5. სამეფოში რომელიმე პირის დაწინაურებისას გაითვალისწინებდა ამ უკანასკნელის დამსახურებებს რუსეთის იმპერიის წინაშე. თავის მხრივ, რუსეთის იმპერატორი (ეკატერინე II) ვალდებულებას იღებდა, რომ: 1. უზრუნველყოფდა ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობასა და მთლიანობას; 2. სამეფო ტახტი სამუდამოდ იქნებოდა შენარჩუნებული ერეკლე II-ისა და მისი შთამომავლობის ხელში; 3. ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებს მიიჩნევდა საკუთარ მტრებად; 4. ოსმალეთთან და ირანთან ხელშეკრულებების დადებისას გაითვალისწინებდა ქართული სამეფოს ინტერესებსაც; 5. არ ჩაერეოდა სამეფოს შიდა საქმეებში.

ამასთანავე ხელშეკრულებას დართული საიდუმლო მუხლების თანახმად, სამეფოში იგზავნებოდა 2 რუსული ბატალიონი 4 ზარბაზნით, ხოლო ომის შემთხვევაში რუსეთიდან უნდა შემოსულიყო დამატებითი სამხედრო ძალებიც. მტრების მიერ მიტაცებული ქართული მიწების (იგულისხმება ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგო და ლეკების მიერ მიტაცებული ჭარ-ბელაქანი) იარაღით განთავისუფლების შემთხვევაში, ეს მიწა-წყალი ქართლ-კახეთის მეფის დაქვემდებარებაში გადავიდოდა. ასევე ქართლ-კახეთის ტახტზე ასულ ყოველ ახალ მეფეს სამეფო ნიშნები უნდა მიეღო რუსეთის იმპერატორისაგან და ამ უკანასკნელის ერთგულებაზე უნდა დაეფიცებინა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, გეორგიევსკის ხელშეკრულება სინამდვილეში წარმოადგენდა პროტექტორატისა და ვასალიტეტის ერთგვარ ნაზავს [შდრ. 21:2-3; 13:140-142]¹: ერეკლე II

¹ ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ გეორგიევსკის ხელშეკრულება იყო „მფარველობითი მოკავშირეობის“ ტრაქტატი, ვინაიდან ხელშეკრულების ტექსტში მეფე და ქართველი მოქალაქეები არსად ქვეშევრდომებად ნახსენები არ არიან; ეკატერინე II-ის საგანგებო მითითებაშიც ქართველი მეფეები მხოლოდ მოკავშირეებად იწოდებიან და ა. შ. [1:92-93]. ამ შეხედულებას იზიარებდა მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილიც.

ალიარებდა იმპერატორის უზენაესობას, იფიცებდა მის ერთგულებაზე, პირობას დებდა, სამხედრო სამსახური გაენია მისთვის საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში და ამასთანავე ერთმეოდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება (აღნიშნული ბოლო პუნქტით არსებული შეზღუდვა მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა ერეკლესათვის და საბედისწერო – მთელი მისი სამეფოსათვის 1795 წელს). ტახტზე ასული ყოველი ახალი მეფე კი, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერატორის მიერ უნდა დამტკიცებულიყო (ეს უკანასკნელი პუნქტი რუსეთის ხელისუფლებამ მონხერხებულად გამოიყენა ხელშეკრულების სხვა პუნქტების, კერძოდ, სამეფო ტახტის ერეკლეს შთამომავალთათვის დანარჩუნების პირობის დასარღვევად, როცა გიორგი XII-ის მემკვიდრეს, მამის სიკვდილის შემდეგ სამეფოს გამგებელ დავითს სამეფო ნიშნები აღარ გამოუგზავნა და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა. დავით გიორგის ძე კი ამაოდ ელოდა იმპერატორისაგან მეფედ ცნობას [10:223]).

სამაგიეროდ, სიუზერენი (რუსეთის იმპერატორი) ყველა საშუალებით უზრუნველყოფდა თავისი ვასალის (ქართველი მეფის) სამეფოს უსაფრთხოებას ნებისმიერი გარეშე მტრისაგან და მუდმივად ეყოლებოდა თავისი ჯარის ნაწილი მის ტერიტორიაზე.

ეკატერინე II-ის „უმაღლეს მითითებაში“, რომელიც საფუძვლად უნდა დაედებოდა „რუსულ-ქართულ“ ტრაქტატს, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ქართველ მეფეებთან უნდა დადებულიყო „სამოკავშირეო ტრაქტატი“, ისე რომ მეფეები უნდა წოდებულიყვნენ არა ქვეშევრდომებად მათი „მფარველი სრულიად რუსეთის იმპერიისა“, არამედ მოკავშირეებად და ისინი ხარკის გადახდის ვალდებულებისაგანაც თავისუფლდებოდნენ (ყოველწლიური „მოსაკითხის“ სახით რუსეთში უნდა გაეგზავნათ მხოლოდ აბრეშუმი, ღვინო და ცხენები) [15:30]. მაგრამ ეს მხოლოდ ერთგვარი ფანდი იყო. თვითონ გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი და ლექსიკა აღარ იძლევა საფუძველს, რომ ტრაქტატი ორ თანასწორუფლებიან სახელმწიფოს შორის დადებულ შეთანხმებად მივიჩნიოთ [10:223]. ამიტომ ვფიქრობ, უფრო მართებულია მისი განხილვა როგორც „მფარველობა-დაქვემდებარების“ ხელშეკრულებისა [1:36].

შესაბამისად, მსგავსი ტიპის ხელშეკრულების გაფორმებით, მით უფრო ამიერკავკასიის უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულთან, სწორედ რუსული მხარე უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. აღნიშნული ტრაქტატის წყალობით, რუსეთმა უომრად გადმოლახა კავკასიონის ქედი და კავკასიის ყველაზე ძლიერი ხელისუფალი თავის ყმად გაიხადა, რაც კავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში მისი დიდი წარმატების ნიშანი იყო [6:693]. საერთოდაც,

უნდა ითქვას, რომ მოცემულ ეპოქაში რუსეთის საიმპერატორო კარი ხშირად მიმართავდა მსგავს „მფარველობით“ ხელშეკრულებებს, როგორც საკუთარი პოლიტიკური გავლენის გაფართოებისა და მცირე პოლიტიკური ერთეულების უბრძოლველად (ან უკიდურეს შემთხვევაში, ნაკლები სისხლისღვრის ფასად) დამორჩილება-დაქვემდებარების ერთ-ერთ უკვე კარგად მოსინჯულ საშუალებას, რაც შემდგომში, ჩვეულებრივ, აღნიშნული მინა-წყლის უშუალო დაპყრობა-შეერთების ერთგვარ საფუძვლად იქცეოდა ხოლმე [10:224, 227]. ამგვარი ხელშეკრულებების გასაფორმებლად კი იყენებდა სხვადასხვა სამხედრო-დიპლომატიურ და ავანტიურისტულ მეთოდებს, რითაც ახორციელებდა კიდევ ზენოლას მიზანში ამოღებულ მცირე სახელმწიფოებსა და მის მმართველებზე.

ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების მომდევნო წლებში

ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებას სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ, საინტერესოდ აღწერს რუსეთის საგანგებო წარმომადგენელი ერეკლე II-ის კარზე და ამავდროულად ზემოხსენებული ტრაქტატის შესაბამისად, ამ სამეფოში შემოსული რუსული ჯარის მეთაურად დანიშნული პოლკოვნიკი სტეფანე ბურნაშევი თავის ნაშრომში საქართველოს შესახებ: „სრულიად რუსეთის იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობაში საქართველოს მიღების შესახებ ტრაქტატის საზეიმოდ დადების შემდეგ, როგორც კი ჩვენი ჯარი იქ შევიდა, მთელი ადრებიჟანელი ხანები და [სხვები] უფრო იქით სპარსეთშიც, ძლიერ შემფოთდნენ. მიუხედავად მათი კეთილდღეობისა და სარგებლისადმი რუსეთის კეთილი განწყობის შესახებ დაიმედებისა, ისინი წინასწარ შეიპყრო თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის შიშმა, და ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდათ ოტომანთა პორტას შთაგონებით, რომელიც განუწყვეტელი მისიებითა და მფლობელებისთვის არცთუ მცირე საჩუქრების დარიგებით ცდილობდა მათ რაც შეიძლება ძლიერად აღძვრას მეფის წინააღმდეგ და ამასაც მიაღწია: იბრაჰიმ-ხან შუშელმა დაუნყო მავნებლობა თავიდან ყველა საიდუმლო ხერხით, თუმცა კი ეს შესამჩნევი იყო. მისი მეცადინეობით განდგა განჯა [მეფის] მორჩილებიდან.“ ერევანშიც სულეიმან-ფაშას „მუდმივი ხრიკებით“ „სხვადასხვა საბაბით მეფეს ხარკს აღარ უხდიან და ერევანიც მეფის ძალაუფლებისაგან ჩამოცილების უკანასკნელ მიჯნაზე დგას. სამეფო მფლობელობაში მყოფმა თათარმა ხალხებმა – ყაზახელებმა, შამშადილელებმა და შამქორელებმა, საუკეთესო მეომრებმა და მდიდარმა ადამიანებმა, მიატოვეს თავიანთი ნოყიერი

მინები, წავიდნენ შუშის ხანის მხარეში და ახლა მას ემსახურებთან მეფის წინააღმდეგ.“ თურქეთის პორტამ, – განაგრძობს ბურნაშევი – საქართველოდან ჩვენი ჯარების გამოსადევნად „განავრცო თავისი წაქეზებანი მტაცებლურ და ხარბ ანგარე-ბიან დაღესტანზე. ფულისა და იმის დაიმედების მეშვეობით, რომ იმოქმედებდა ახალციხის მხრიდან კავშირში, დაარწმუნა ავარიის უმა-ხანი (იგულისხმება ომარ-ხანი – დ.მ.), მთიელთა მთელი შესაძლო ძალების თავმოყრის შემდეგ აშკარა ომი დაენყო მიფის წინააღმდეგ.“ ომარ-ხანმაც „მოაგროვა 11000-მდე კაცი სხვადასხვა მთიელ ხალხთაგან, მოვიდა მდინარე ალაზანზე და აქ ჭარულებასა და ბელაქნელებთან, საქართველოს შეურიგებელ მტრებთან გაერთიანების შემდეგ გაძლიერდა 20000-მდე“ და საქართველოში შემოიჭრა [3:44-46].

საქართველოში მყოფი რუსული ჯარების მეთაურის მიერ საიმპერატორო კარისათვის გაკეთებული ეს მოკლე დახასიათება მთელი სისრულით ასახავს ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლის შედეგად სამეფოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას, რაც განსაკუთრებით დამძიმდა აქ რუსული ჯარის შემოსვლის შემდეგ. ამ განცხადებას პირდაპირ ეხმიანება ბურნაშევის თანამედროვე და აღწერილი ამბების თვითმხილველი ქართველი ისტორიკოსი, ომან ხერხეულიძეც: „კვალად იძია შური სულეიმან ფაშამ და იწყო საქმობა შუშის ხანთან და დაღისტანში ომარ-ხანთან. და ეგრეთვე ასტეხნა ლეკნი მარბეველად ქართლისა დაფარვით,“ ხოლო როდესაც „იმპერატრიცა ეკატერინემან... წარმოავლინა მეფეს ირაკლისთან მინისტრად პოლკოვნიკი² და ორი ბატალიონი მხედრობა... უმეტეს განძინდა სულეიმან ფაშა და შექმნეს სხვათა ადრიბეჟანის ხანებთაცა შიშნეულება მხედრობისა გამო რუსეთისა, ვინაითგან აქვნდათ მარადის რიდი მეფის ირაკლისაგან და უმეტესად განიგულვეს მაშინ დაპყრობა თვისი ძალითა როსიის მხედრობისათა და ამის გამო შეექმნათ ურთიერთისადმი დინთასლიბისა თამხმობა.“³ ხოლო მას ჟამსა ეპყრა საყმოდ განჯა და ყოველი მამული მისი მეფესა ირაკლის და აქვნდა ფრიადი მეგობრობა შუშის ხანთა თანაცა... გარნა

² იგულისხმება ზემონახსენები ს. ბურნაშევი. რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენელს იმხანად რუსულივე გავლენით საქართველოშიც ხშირად „მინისტრად“ მოიხსენიებდნენ.

³ ე. ი. გაერთიანდნენ სარწმუნოებრივ ნიადაგზე. „დინთასლიბის“ მნიშვნელობას თეიმურაზ ბაგრატიონი ომან ხერხეულიძის თხზულების საკუთარ ვერსიაში ასე განმარტავს: „ესე იგი თავისის სჯულისა, გინა მემსჯულეთა სარჩვლა“. იქვე კი მკითხველისათვის სურათის კიდევ უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით ბატონიშვილი დასძენს: „შექმნეს ხანებმა საიდუმლოდ ერთმანეთთან ლაპარაკი და ერთობა და ეგრეთვე ოსმალის მხარეს ფაშებმა“ [11:98].

ზემოსხენებულისა ფიქრისა და შურის გამო გამოაძეს მუნ მყოფი კაცი იგი მეფის ირაკლისა თავადი ანდრონიკაშვილი მდივანბეგი ქაიხოსრო. შეიყვანეს იგივე მემკვიდრე ჯავათ-ხან და დასვეს ხანად. მასვე დროსა სულეიმან ფაშამ მოუწოდა დალისტინის ომარ-ხანს, ხუნძახის ბატონს. მან შემოიყარა დალისტინის ჯარები და ეგრეთვე ჭარელნი, ვ(იდ)რე ოცი ათასამდე მოვიდა ურდოზედ, რომელ არს ალაზნის პირი“ [11:72-73].

ბუნებრივია, გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამ მთლიანად შეცვალა პოლიტიკური მდგომარეობა რეგიონში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცვლილება ქართლ-კახეთის სამეფოს სასარგებლოდ ნამდვილად არ მომხდარა. ერეკლე II-სა და ეკატერინე II-ს შორის დადებული ხელშეკრულებით ისედაც შემოფოთებული სულთნის კარი რუსული ჯარის ნაწილის (თუნდაც მცირერიცხოვანის) ქართლ-კახეთის საზღვრებში გამოჩენამ საერთოდ საგონებელში ჩააგდო. იქ კარგად ესმოდათ, რომ ამ ორ რუსულ ბატალიონს მომავალში სხვაც ბევრი მოჰყვებოდა, რომელთა საშუალებითაც რუსეთის იმპერია ადრე თუ გვიან მთელს სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრდებოდა და აუცილებლად მიიტანდა სახიფათო იერიშს თვით ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებზეც. ოსმალეთი რუსეთთან ფორმალურად საზავო მდგომარეობაში იმყოფებოდა (ქუჩუკ-კაინარჯის ზავი, ყირიმის სახანოს საკითხში მოგვიანებით რუსეთის სასარგებლოდ შეტანილი გარკვეული შესწორებების გათვალისწინებით, კვლავ ძალაში რჩებოდა) და მასთან მშვიდობის ღიად დასარღვევად მზად არ იყო. ამიტომ პორტამ ერეკლე II-ის წინააღმდეგ სასწრაფოდ დაიწყო მის ხელთ არსებული ყველაზე ეფექტური იარაღის – დაღესტნის ფაქტორის სრული ძალით ამოქმედება. კარს მომდგარი რუსული საფრთხისაგან თავდასაცავად, სულთნის დავალებით, ახალციხის ფაშის, სულეიმან ჯაყელის ელჩები უხვი დაპირებების, ძვირფასი საჩუქრებისა და ფულით სავსე ქისების გამოყენებით დაღესტნელ ბელადებს ქართლ-კახეთის სამეფოზე მუდმივი თავდასხმებისაკენ მოუწოდებდნენ. ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ახალციხის საფაშო ყაჩაღთა ბრბოების თავშესაფრად იქცა. ქართული სოფლების მოთარეშების შემდეგ ნაძარცვით დატვირთული ლეკები ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე ჰპოვებდნენ თავშესაფარს, სადაც საკუთარ ნადავლს მშვიდად და სარფიანად ჰყიდდნენ [იხ. ასევე 2:232]. ამის გამო ერეკლეს მიერ გამოთქმულ საყვედურებზე ახალციხის ფაშა თავს იმით იმართლებდა, რომ ავაზაკი ლეკების შეკავება თითქოს მის ძალებს აღემატებოდა, ვინაიდან ისინი მის მორჩილებაში არ იყვნენ [16:214].

ამგვარ ვითარებაში პავლე პოტიომკინი, რუსეთის ჯარების სარდალი ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსმალეთის მიერ „ლეკური“ ფაქტორის სათავისოდ გამოყენებას ოსმალეთის სისუსტის მაჩვენებლად აღქვამდა: „ორივე სახელმწიფოს შორის ზავი ნარჩუნდება, მაგრამ თუკი მოხდება მისი მოშლა, მათი (ოსმალთა) თავდაცვა სუსტია, როცა მხოლოდ ლეკებზე ამყარებენ იმედს“ – კმაყოფილებით წერდა კავკასიის ხაზის სარდალი ს. ბურნაშევს 1783 წლის 20 ივლისს [18:7-8], იმ დროს, როცა რუსეთში ამ უკანასკნელის მიერ ყირიმის დაუფლების გამო ოსმალეთის მხრიდან ომის გამოცხადებას არ გამორიცხავდნენ. თუმცა რაც რუსეთისათვის მისი მოწინააღმდეგის სისუსტის გამოსატყულება იყო (ლეკებით რუსეთს, ცხადია, მართლაც ვერაფერს დააკლებდნენ), ქართლ-კახეთისათვის ნამდვილ უბედურებად იქცა.

საჩუქრებითა და ფულით დატვირთული ოსმალთა ელჩები ხშირ-ხშირად მიმოდიოდნენ ასევე აზერბაიჯანელი ხანების კარზე და მათ მუდმივად აქეზებდნენ ერეკლე II-ის წინააღმდეგ. ხანების უმეტესობა ისედაც ქედს იდრეკდა ერეკლეს ძლევა-მოსილების წინაშე. რუსული ჯარის ქართლ-კახეთში შემოსვლის შემდეგ კი მათში იმძლავრა შიშმა, რომ შეიძლებოდა მთლიანად დაეკარგათ ძალაუფლება და საფრთხე შექმნოდათ სარწმუნოების მხრივაც: „ეგონათ მეფე ერეკლე ძალათ დაგვიპყრობს რუსების ძალითა და წაგვანდენსო და ჩვენს რჯულსაც მოგვიშლიანო, რადგან რუსები და მეფე ერეკლე ერთი რჯულისა არიანო“ [11:98]. ოსმალთა ძალისხმევის წყალობით, ეს განცდა აზერბაიჯანელ ხანებში კიდევ უფრო ღვივდებოდა და საბოლოოდ ამან ერეკლესათვის ძალზე ცუდი შედეგები გამოიღო: განჯის ხანმა ქართველი მეფის მორჩილებაზე საერთოდ უარი თქვა, ერევნის სახანოზე კი მეფის ბატონობა უკვე ბენჯზე ეკიდა. ხოლო ერთ დროს ერეკლე II-ის ერთგული და საიმედო პოლიტიკური მოკავშირე – ყარაბაღის ხანი მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაბარგდა. ერეკლე ფაქტობრივად თავისი მუსლიმი მოკავშირეების გარეშე დარჩა. ქართლ-კახეთის ყველა შორიანლო მეზობელი მუსლიმი მმართველი ოსმალეთის ნაქეზებით უკვე ერთად ილესავდა ხმაღს ერეკლესა და მისი სამეფოს სამტროდ – მეფემ ხომ ყველა მათგანის უმეტესად საშიში მტრის, რუსეთის ჯარს გაუხსნა გზა კავკასიის მთებს გადმოღმა. რუსული ბატალიონების ქართლ-კახეთში ჩადგომით, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ მუსლიმ მმართველებს ოსმალთა სულთნის გარშემო გაერთიანების მყარი საფუძველი შეექმნათ. არადა სწორედ ამ მმართველ ხანთა შორის წინააღმდეგობებსა და აქედან გამომდინარე, მათთან გონივრულად შერჩეულ ხელ-

საყრელ პოლიტიკურ კავშირებზე აგებდა ერეკლე II აქამდე თავის წარმატებულ რეგიონალურ პოლიტიკას, რამაც ქართლ-კახეთი უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად აქცია კავკასიაში. ახლა კი თავის მოკავშირეების დაკარგვისა და სამეფოზე თავდამსხმელ ლეკთა გააქტიურების შესაბამისად, სწრაფად ეცემოდა ერეკლეს პოლიტიკური გავლენა და ავტორიტეტი.

ყოველივე ამის შედეგად გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით ქართველთა შორის აღძრული იმედები, რომ რუსეთის მფარველობით ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს დაისადგურებდა ნანატრი მშვიდობა, მალევე დაიმსხვრა [17:173]. არ მართლდებოდა ერეკლე II-ის იმედიც, რომ „რუსთ ხელმწიფის“ შემწეობით იგი თავის სახელმწიფოს ძლევამოსილებას განამტკიცებდა. ცხადი ხდებოდა, რომ ისევე, როგორც ადრე, რუსეთის დახმარებით მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი „ნაადრევი აღმოჩნდა, ისე რომ ზოგჯერ ამ იმედებმა ქართველ პოლიტიკოსებს კატასტროფული მდგომარეობაც შეუქმნეს“ [9:87]. ტრაქტატის გამო ქართლ-კახეთის სამეფო, გაძლიერებისა და გარე მტერთაგან დაცვის ნაცვლად, სამი მხრიდან მტრებით გარემოცული აღმოჩნდა და საომარი მდგომარეობა შეექმნა იმ მეზობელ მმართველებთანაც კი, რომლებიც მანამდე მისი საიმედო მოკავშირეები იყვნენ [12:95]. ისინი ახლა სამხრეთ კავკასიაში „რუსების შემომყვან“ ერეკლეს სახით რუსეთის იმპერიას უპირისპირდებოდნენ [7:51]. ამ სავალალო შედეგებმა აჩვენა, რომ „1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი – აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა“ [12:93]. ერეკლე II-ს კი თავისი ცხოვრებისა და მმართველობის ბოლო 15 წელიწადი (1783-1798 წწ.) „კატასტროფისა და გაცრუებული ილუზიების“ წლებად ექცა [5:220]. განუხრელმა რუსულმა ორიენტაციამ ქართული სამეფო სწრაფი დაქვეითების გზაზე დააყენა და დაცემისაკენ მიაქანებდა. იგი რუსეთის ორმაგ პოლიტიკასა და მასთან გაფორმებულ პოლიტიკურ კავშირს ეწირებოდა [7:52].

გეორგიევსკში ტრაქტატზე ხელმოწერის ორი წლის თავზე ვითარების გაუარესება უკვე იმდენად საგრძნობი გამხდარა, რომ თვით ტრაქტატზე ხელისმომწერი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, მეფის დესპანი რუსეთში, იმპერიის მეორე პირს, გრიგოლ პოტიომკინს თავის მოხსენებით ბარათში პუნქტობრივად ჩამოუთვლის (სულ კი ასეთ 6 პუნქტს ასახელებს) იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განუზომელ ზარალთა რიგს, რაც ქართლ-კახეთის

სამეფომ ნახა „იმ ჟამის შემდგომად, ოდეს საფარველსა ქვეშე რუსეთისასა შევიდა“ [8:244-245].

1785 წლის სექტემბერში ომარ-ხან ავარიელის მიერ დაღესტ-ნელთა და ქარელთა დიდი ჯარით აღმოსავლეთ საქართველოს წარმატებულმა დალაშქვრამ რუსეთის მფარველობაში მყოფი სამეფოს უსუსურობა გამოავლინა. ერეკლე II-მ არათუ დასჯა ვერ მოახერხა თავგასული ხანის (ომარმა მეფის ჯართან პირისპირ შეტაკებას თავი აარიდა, დედოფლისწყაროზე გავლით ქვემო ქართლში გადავიდა და რბევ-რბევით ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი), არამედ იძულებული გახდა, ლეკთა თავგასული ბელადისათვის დიდი ჯამაგირის დანიშვნის ფასად ეყიდა მისგან მშვიდობა. ტრაქტატის პირობებით, მდგომარეობის გართულე-ბის შემთხვევაში დამატებითი დამხმარე ჯარის შემოსაყვანად კი „მფარველი“ იმპერიის თავს არ იწუხებდა. ომარ-ხანის ლაშქარმა გაანადგურა სპილენძისა და ვერცხლის სარენები. ამით სახელმწიფო ხაზინას საგრძნობი შემოსავლის წყარო მოაკლდა. მომდევნო წლის გაზაფხულიდან ლეკთა მცირერიცხოვანი ყაჩაღური რაზმების თავდასხმები კიდევ უფრო დიდი სიხშირით განახლდა [16:206]. ლეკიანობამ უკიდურესად საშიში მასშტაბები მიიღო. ლეკი აბრაგები ხანდახან თბილისის შემოგარენამდეც კი აღწევდნენ [16:207], იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც კი ხელთ იგდებდნენ, მათ შორის ადამიანებს. ასეთი თავდასხმების მოსაგერიებლად სახელმწიფო მით უმეტეს არ იყო მზად. ლევან ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ მორიგე ჯარი მოშლილიყო. საჭირო ზომების მიღებისა და სათანადო, თუნდაც არც ისე დიდი ოდენობის, ჯარის შეყრამდე მძარცველების დაწვევა ნაკლებად ხერხდებოდა და ხშირ შემთხვევაში ნადავლით დატვირთული მომხვდური სამშვიდობოს უვნებლად აღწევდა.

გამოცოცხლებულმა ლეკიანობამ მნიშვნელოვნად დასცა სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალი. ლეკთა თარეშმა ვაჭრობის სწრაფი დაქვეითება გამოიწვია [2:233]. გზებზე ქარავნების გადაადგილება ერთობ სახიფათო გახდა. სახელმწიფო უძღური იყო, უზრუნველყო ვაჭრების უსაფრთხოება. ერეკლე მეფის ქვეშევრდომ მსხვილ ვაჭართაგან ბევრი თავისი კაპიტალით რუსეთში გადადიოდა და იმპერიის ქვეშევრდომში შესვლის შემდეგ იქ აგრძელებდა თავის საქმიანობას. იგივე უსაფრთხოების არარსებობის მიზეზით ფერხდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება, ზოგ ადგილებში კი ეს საერთოდ შეუძლებელი გახდა. გლეხები ბალ-ვენახებში თავისუფლად ვეღარ გადიოდნენ, იცლებოდა მთელი სოფლები, მცირდებოდა ქვეყანაში

წარმოებული დოვლათი, რაოდენობრივად იკლებდა და ღარიბდებოდა მოსახლეობა. ადამიანური და ეკონომიკური რესურსიც შემცირება კი მთლიანობაში უშუალოდ და სავალალოდ აისახებოდა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობაზე: ძნელდებოდა ლაშქრის მობილიზაცია და საჭირო დროის განმავლობაში მისი საკვებით უზრუნველყოფა; ფულადი სახსრების სიმცირის გამო ხშირად ვეღარ ხერხდებოდა ძველებურად მთიელთაგან ჯარის დაქირავება და ა. შ.

არსებული უმძიმეს ვითარებას ცხადად ასახავს თბილისში მყოფი პოლკ. ს. ბურნაშევის მიერ პ. პოტიომკინისათვის მიწერილი ერთი ამბავი: 1786 წლის მარტში ლეკთა ერთ რაზმს ჭარიდან კახეთი მოუთარეშებია და მთელი ნახირი თავისუფლად გადაუდენა სამშვიდობოს, ალაზანს გაღმა. მეორე ნაწილი ახალციხის მხრიდან სურამში შეჭრილა და ძარცვა და მოსახლეობის დარყვევება დაუწყია. ერეკლემ როგორც კი ამის შესახებ შეიტყო, ორასი მეომარი შეყარა, 150 რუსი ეგერი დაიმატა და სასწრაფოდ თბილიდან სურამისკენ გაემართა, მაგრამ 17 ვერსის გავლის შემდეგ გაჩერებულა, ვინაიდან ამ მცირე ჯარის გამოსაკვები სურსათიც კი ვერ უშოვია [16:206].

ქართული სამეფო კარისათვის ცხადი გახდა, რომ ასეთ ვითარებაში ორი რუსული ბატალიონი ქვეყნის დასაცავად საკმარისი არ იყო (და ეს მაშინ, როცა „ლეკურ პრობლემას“ მეფე ერეკლე მანამდე, რუსული ჯარის არყოფნის პირობებშიც, ასე თუ ისე თავს მაინც ართმევდა). არ დაკმაყოფილდა ერეკლე II-ის თხოვნაც, სესხი მიეღო თავისი „მფარველ-მოკავშირისაგან“ [2:233]⁴. ერეკლეს თავიდანვე ჰქონდა ცნობები ახალციხის ფაშის მიერ წაქეზებული ლეკების მოსალოდნელი მასობრივი ყაჩაღური თავდასხმების შესახებ და ამას აცნობებდა კიდევ ს. ბურნაშევის. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მეფე გამოსავალს რუსეთიდან დამატებით ახალი ბატალიონების გამოგზავნაში ხედავდა.⁵ ერეკლე II კავკასიის ხაზის სარდალ გენერალ პ. პოტიომკინისადმი მიწერილ წერილში ჯარისა და ფულის გამოგზავნის თხოვნისას აღნიშნავდა, რომ „ასეთ საშიშროებაში, რომელშიც ამჟამად ჩავარდნილია საქართველო, არასდროს ყოფილა. შაჰ-აბას დიდის სიკვდილის შემდეგაც კი ამგვარი აოხრება მას არ განუცდია“.

⁴ ერთხელ, როდესაც ერეკლე ითხოვდა 30 000 ათას რუბლს, პ. პოტიომკინისაგან მიუღია 4000 თუმანი, ეკატერინესაგან ნაჩუქარი არტილერიის გამოგზავნის პირობასთან ერთად [16:205].

⁵ ამის თაობაზე ს. ბურნაშევი მოახსენებდა პ. პოტიომკინს 1786 წლის აპრილს [16:207].

ვინაიდან დრო არ ითმენდა, მეფე აქვე სთხოვდა რუს სარდალს, რომ პეტერბურგიდან ნებართვის მიღებას არ დალოდებოდა და ტრაქტატის პირობების შესაბამისად სასწრაფოდ გამოეგზავნა ჯარი თუნდაც იმიტომ, რომ „ესოდენი სულნი ქრისტიანეთანი არ გაუბედურებულ იყვნენ მისი უდიდებულესობის (დედოფალ ეკატერინეს – დ. მ.) ერთგულების გამო“ და „მიეცა მათთვის შემწეობა, რომ არ გავარდნილიყო ხმა, რომ დიდი ეკატერინეს დროს რუსეთთან დაკავშირებული საქართველო სრულიად გაჰქრა.“ „თუ თქვენ იცით, რომ ქართველთა სამეფოს დაცემით რუსეთის იმპერია რაიმე სარგებელს ნახავს, მაშინ მოიქეცით ისე, როგორც გენებოთ“, – იწერებოდა ბოლოს აშკარა საყვედურნარევი ტონით მძიმე დღეში ჩავარდნილი ერეკლე II და იქვე გულგატეხილი დასძენდა, რომ თუ შემწეობა არ გამოიგზავნებოდა, ესეც გულახდილად ეთქვა, რათა მისი სამეფოს მცხოვრებნი მუდმივ უბედურებაში არ ყოფილიყვნენ. იქვე კი რუს გენერალს ამ უბედურების მიზეზსაც მიუნიშნებდა: „ისიც საკმარისია, რაც წინა და მესამე წელს“ (იგულისხმება 1784-1785 წლები, ანუ მე-2 და მე-3 წლები გეორგიევსკის ტრაქტატიდან – დ. მ.) იწვინა საქართველომ.⁶

დამატებითი რუსის ჯარის გამოგზავნის ამოდ მომლოდინე ერეკლე II-ის სრული იმედგაცრუება ტრაქტატისადმი და მთელს სამეზობლოსთან ურთიერთობის გაფუჭების გამო ნუხილი კარგად იკითხება პეტერბურგში სამეფოს წარმომადგენელ გარსევან ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ მის წერილშიც: „ნურც ათქმევინებ ვისმე ამასა, რომ დიდის ეკატერინეს ჟამსა და ხელმწიფობაში რუსეთის შეერთების (იგულისხმება რუსეთთან პოლიტიკური ხელშეკრულებით დაკავშირების – დ. მ.) მიზეზით, მოუშველებლობით დაიქცა საქართველო. რა ვქნა, მე ბევრის იმედი მქონდა თქვენისგან და კიდევ მაქვს. მა ვისთან მივიდეთ და ვის გამოვუცხადოთ ჩვენი ტკივილი, – ოსმალეთთან მივიდე, მიმიშვებენ? ყიზილბაშებთან მივიდე, – შემინყნარებენ? დალესტნელებთან მივიდე. – მიმიღებენ? მაშ, ვისი სასოება მქონდეს, თუ არა რუსეთის დიდებულის ხელმწიფისა... ვის უნდა მივმართო და ვის უნდა ვაწყინო თავი?“ [15:69].

ჩანს, მეფე აცნობიერებდა, რაოდენ რთული იყო მეზობელი მუსლიმი მმართველების წინაშე თავისი დაკარგული ნდობის

⁶ წერილი დაწერილია 1786 წლის 6 აგვისტოს. წერილი მოგვყავს ი. დუბროვინის ნაშრომიდან [16:209] (თარგმანი რუსულიდან ჩვენია). პ. ბუტკოვიც საქართველოს მძიმე მდგომარეობის დახასიათებისას იმონებს ერეკლე II-ის სიტყვებს, რომ „საქართველო მაშინ ისეთ უბედურებაში იყო, რომელიც მას შაჰ-აბასის შემდეგ არ ჰქონია“ [14:188].

აღდგენა და ამიტომ თავის დიპლომატიური აქტიურობას ისევ ეკატერინე II-ის კარისაკენ მიმართავდა. სასურველი შედეგი კი არა და არ ჩანდა: დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთში იმპერიასთან გაფორმებული კავშირის გამო განსაცდელში ჩავარდნილი მეფის მრავალგზისი დაჟინებული თხოვნის შემსმენელი არავინ გამოჩენილა [4:699].

მანამდე, 1785 წლის 15 ოქტომბერს გარსევან ჭავჭავაძე გრ. პოტიომკინს მოახსენებდა, რომ „თურქთა თეთრით მოსყიდული დალესტინის ხალხი“ დალესტინიდან და ახალციხიდან ძლიერ აწუხებდნენ საქართველოს და ითხოვდა ფინანსურ დახმარებას, რისი წყალობითაც მეფე შეძლებდა ლეკების „თურქთაგან განშორებას“ და თავისკენ გადაბირებას, ვინაიდან „ხაზინით ლეკებს მეფე ჩემი უმეტეს იშოვნის და იმსახურებს, ამით რომ ლეკთ თავის სახლში წასასვლელი გზა მშვიდობიანი ექმნებათ და აღარავისგან ეშინებათ“ და ლეკის გარდა ამ ფულით სხვა ჯარის დაიქირავებასაც შეძლებდა [იხ. 8:247]. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ერეკლე II-ის ელჩი საიმპერატორო კარს ატყობინებდა, რომ დალესტინის დიდი ჯარი წამოსულა საქართველოზე ჭარბელაქნიდან და „მფარველობის ძალით“ მტრის მოსაგერიებლად ითხოვდა ჯარს ან სესხს რამდენიმე წლის ვადით. იქვე ისმის თავად გ. ჭავჭავაძის საყვედურიც: „წარსულს წელიწადს“ ჭარი და ბელაქანი რომ „აღზოცილიყო“, ახლა ამისთანა გაჭირება არ მოგვადგებოდაო [8:249-250].⁷

„თუმცა მამული ჩვენი სიმგრგულივ მტრის პირში ყოფილა და ყოველთვის ბრძოლა არ დაუკლიათ საქართველოზედ, – განაგრძობს ქართველი ელჩი, – ოღონდ ამისთანა გაჭირება არა დროს არ მიუღიათ, რომ შეთქმულობით უმტეროსთ, როგორც ახლა ოთხსავე მხარეს მტრობენ“ (იგულისხმება სხვადასხვა მტრის ერთობლივი შეთანხმებული მოქმედება ქართლ-კახეთის წინააღმდეგ – დ. მ.). რაც მეფე ერეკლეს მამა, თეიმურაზს „საქართველოს მეფობა მიუღია, იმ ჟამიდან ვიდრე ამ ჟამომდე ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“ [8:252] – გარსევან ჭავჭავაძის ეს სიტყვები კარგად გამოხატავს, როგორ გაუარესდა ქართული სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების შედეგად.

⁷ უფრო ადრე ერეკლე მეფე არწმუნებდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ ძველ ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრებული ჭარელი ლეკების დამორჩილება სამეფოში ლეკიანობის აღსაკვეთად აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენდა. თუმცა მაშინ ამ უმნიშვნელოვანეს წინადადებას რუსეთისაგან სათანადო ნაბიჯები არ მოჰყოლია.

ჩრდილოეთიდან კი საიმედო ცნობები არ მოდიოდა, თითქოს ქარს წაელო ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით პ. პოტიომკინის განცხადება, რომ „ამიერიდან რუსეთი ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ ყოველი სარგებელი მიიღება ორმხრივად“.⁸ ბოლოს თითქოს ფულიც გამოიყო „ქართული ჯარის ორგანიზაციისათვის“. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ეს თანხა არც ქართული ჯარისათვის ყოფილა და არც ერეკლესათვის: „დაიქირავეთ ისინიც და სხვებიც ჩემთვის, და არა მეფისათვის, რომ ისინი იყვნენ საქართველოს სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში“ – წერდა გრ. პოტიომკინი თავის უმცროს ბიძაშვილს, პ. პოტიომკინს 1786 წ. 19 ოქტომბერს.⁹

სამეფოში შექმნილი მძიმე ვითარების აღწერის შემდეგ ს. ბურნაშევი თავის პატაკში წერდა, რომ ქვეყნისათვის საჭიროა ფულადი მხარდაჭერაც ქართველ ხალხში იმედის გასაღვიძებლად, რომელსაც მთებში ხიდებისა და გზების (იგულისხმება რუსეთიდან საქართველოში დარიალის ხეობით შემომავალი გზა) მოშლის გამო დახმარების მიღების იმედი აღარ აქვს და იმდენად სასოწარკვეთილია, რომ თურქული ჯარის შემოსვლის შემთხვევაში პირდაპირ უძლიერესს ნებას დამორჩილდება, თუნდაც მეფის სურვილის საწინააღმდეგოდაც კიო [16:212]. შეიძლება ეს განცხადება ერთგვარად გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ მაინც უშუალოდ მიუთითებს გეორგიევსკის ტრაქტატით გამოწვეული განსაცდელის სიმძიმესა და მოსახლების უიმედო მდგომარეობაზე. თუ რამდენად შემცირდა ქართლ-კახეთის სამეფოს ძლიერება და დაეცა ერეკლე II-ის ავტორიტეტი სულ რაღაც 3-4 წელიწადში, კარგად ასახავს მეზობელი ხანებისაგან ახალციხის ფაშისადმი მოციქულთა პირით შენათვალი: „ერეკლეს ჰქონდა ოთხი ფეხი, რომელთაგან სამი წაერთვა და ის ახლა მხოლოდ ერთზე დგას“ [16:220].

ცხადი შეიქმნა, რომ ოსმალეთთან „მშვიდობიანობის დროს რუსეთის პროტექტორატი ვერ იცავდა საქართველოს“ და როგორც მალევე გაირკვა, „ომის დროს იგი საერთოდ ზედმეტიც აღმოჩნდა“ [13:166].

ნიშანდობლივია, რუსი დიპლომატი და სამხედრო მეთაური ს. ბურნაშევი, როგორც ზემოთ ვნახეთ, რომ არ ასახელებს არც ერთ

⁸ „Россия, будучи связана ныне с Грузией столь тесно, всякую пользу приемлет обоюдно“ [19:217; 17:173].

⁹ „Нанимать и тех и других мне, а не царю, чтобы они были в пользу Грузии, но в повелениях наших“ [20:32, 176; 17:219].

დადებით შედეგს, რაც ტრაქტატის დადებასა და რუსული ჯარების შემოსვლას მოუტანია ერეკლეს სამეფოსათვის. ამრიგად, ბურნაშევის მიხედვით, სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება უარესობისაკენ გამოხატულა შემდეგ საკითხებში:

1. ქართული სამეფოს ყველა მეზობელმა ხანმა, შეშინებულებმა და შეშფოთებულებმა ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმებითა და რუსული ჯარის გამოჩენით, საერთო მტრობის პირი შეკრეს ერეკლეს წინააღმდეგ. მეფეს ზურგი აქციეს ასევე მანამდე მისმა მოკავშირე ხანებმაც. ერთ დროს მისი ძველი მეგობარი და ერთგული შუშის ხანიც კი ერეკლეს მტრად მოეკიდა.

2. ერეკლე II-ის ხელისუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა მისამი ვასალურ მდგომარეობაში მყოფ სახანოებში. მეფის მორჩილებაზე უარი განაცხადა მისმა მოხარკე განჯის სახანომ. ერეკლეს ძალაუფლება იმდენად შერყეულა ერევანშიც, რომ იგი უკვე ბენჯეც კი ეკიდა.

3. ერეკლე II-ის ქვეშევრდომობაში მყოფი მუსლიმური თემები (ყაზახელები, შამშადიელები და შამქორელები), რომელთაგან ქართლ-კახეთის ლაშქარი საიმედო და არცთუ უმნიშვნელო შეესებას იღებდა, ყარაბაღში გადაიხვეწნენ და ახლა იქაურ ხანს დაუდგნენ გვერდში ერეკლეს წინააღმდეგ.

4. ერეკლე II-ს უკიდურესად გაურთულდა ურთიერთობა ოსმალეთთან (რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წლების ომში რუსეთის მხარეზე ბრძოლის გამო მასთან ერთხელ უკვე გაფუჭებული ურთიერთობის მოწესრიგება მანამდე ერეკლეს დიდი ძალისხმევით ფასად მოეხერხებინა), რომლისთვისაც რუსეთი უმთავრესი მეტოქე იყო რეგიონში. ოსმალეთმა ყველა საშუალებით დაიწყო ქართლ-კახეთის ისედაც შეშფოთებული მაჰმადიანური სამეზობლოს ამხედრება რუსების მოკავშირე ქართველების წინააღმდეგ.

5. ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მუშავებოდა სამხედრო გეგმა, რომლის მიხედვით, სამეფოზე ერთდროულად უნდა მიეტანათ იერიში ახალციხის საფაშოდან და დაღესტნიდან. საბოლოოდ ოსმალთა ნაქეზებით, ავარიის ხანი დაღესტნელთა ძალების იშვიათი მობილიზაციის შედეგად, 20 ათასიანი ჯარით შემოიჭრა საქართველოში, სოფლებისა და სავარგულების გარდა, ააოხრა სპილენძისა და ვერცხლის გადამამუშავებელი საწარმოები (ბურნაშევი მხოლოდ ვერცხლისას ასახელებს). დაღესტნელთა დიდი ლაშქრის მრავალგზის დამმარცხებელმა ერეკლე II-მ კი ამჯერად ვერ შეძლო ომარ-ხანის შეჩერება და შემდგომში იძულებული გახდა, მას ძალზე არასასურველი პირობებით დაზავებოდა.

სხვაგან ბურნაშევი აღნიშნავს, რა რომ დარეჯან დედოფალი, რომელიც თუმცა „იმავე საშიშროების გამო (ქართლის ტახტის დაკარგვის შიში – დ. მ.) გადაიხარა რუსეთთან ტრაქტატის დადებისაკენ“, რის გამოც ერეკლე II, იგი „ახლა ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ არ უსაყვედუროს მეფეს ქვეყნის გაჩანაგების გამო“ [3:44-46]. აქ რუსი პოლკოვნიკი დედოფლის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილების გარდა, მისდაუნებურად ირიბად მიუთითებს, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლამ სამეფოს მდგომარეობაზე ყოველმხრივ უარყოფითად იმოქმედა და „ქვეყნის გაჩანაგება“ გამოიწვია.

პ. პოტიომკინი კი რუსული ჯარის საქართველოდან გაყვანის თაობაზე ბურნაშევისადმი მიმართულ ორდერში პირდაპირი დასკვნის სახით აღიარებს, რომ რუსული ბატალიონების შეყვანამ ერეკლე II-ს არათუ რაიმე პოლიტიკური სარგებლობა არ მოუტანა, მეტიც, მხოლოდ მტრები მოუმრავლა ქვეყანას: „ჩვენი ბატალიონების ყოფნით მეფეს მეტი მტერი ჰყავდა“ და მათი გამოყვანის შემდეგ კი „იგი შვებას იგრძნობს მტრების თავმოყრისაგან“ [18:29].

მაშასადამე, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა და შეიცვალა მხოლოდ უკიდურესად უარყოფითი მიმართულებით. ამას ცხადად ადასტურებს: 1. სამეფოში შექმნილი უმძიმესი ვითარება; 2. მოვლენების თანადროული ქართველი ისტორიკოსების მონაცემები; 3. ერეკლე II-ისა და რუსეთში ქართველი ელჩის, გ. ჭავჭავაძის წერილები; 4. და ბოლოს, ამის თაობაზე ერთმნიშვნელოვნად და გულახდილად მიუთითებენ (ცხადია, მხოლოდ შიდა მონმარების დოკუმენტებში) თავად რუსეთის იმპერიის იმდროინდელი მესვეურებიც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ აღნიშნული ხელშეკრულების მომზადების, გაფორმებისა და განხორციელების პროცესში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა
References

1. ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1983
L. Aleksidze, Georgian-Russian Legal Relations in the XV-XVIII Centuries, Tbilisi, 1983 (in Georgian)
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი, 1965
N. Berdzenishvili, Issues of Georgian History, Book II, Tbilisi, 1965 (in Georgian)
3. ს. ბურნაშევი, „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“, წიგნში: პოლკ. სტეფანე ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ, რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი, 2020
S. Burnashev, “Picture of Georgia or a Description of the Political Situation of the Kingdoms of Kartli and Kakheti”, in the book: Three works of Colonel Stepan Burnashev on the Caucasus, translated from Russian, researched, explained and added by Davit Merkviladze, Tbilisi, 2020 (in Georgian)
4. მ. დუმბაძე, პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973
M. Dumbadze, A Dangerous Node of the Political Contradictions, Essays on the History of Georgia, Vol. IV, Tbilisi, 1973 (in Georgian)
5. დ. ლანგი, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თბილისი, 2003
D. Leng, The Last Years of the Kingdom of Georgia, Tbilisi, 2003 (in Georgian)
6. გ. პაიჭაძე, ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973
7. შველიძე დ., საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ, თბილისი, 2014
G. Paichadze, Renewal of Kartli-Kakheti-Russian Relations in the Early 1980s, Treaty of Georgievsk, Essays on the History of Georgia, Vol. IV, Tbilisi, 1973 (in Georgian)
8. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960

- I. Tsintsadze, Protection Treaty of 1783, Materials for the History of Russian-Georgian Relations, Tbilisi, 1960 (in Georgian)
9. ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან, „მიმომხილველი“, III, თბილისი, 1953
I. Tsintsadze, From the Historiography of Russian-Georgian Relations, „Mimomkhilveli“, III, Tbilisi, 1953
 10. დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, თბილისი, 2016
D. Chumburidze, V. Kiknadze, Kh. Kokrashvili, L. Saralidze, Georgian-Russian Relations in the XVIII-XXI Centuries, Book I, Tbilisi, 2016 (in Georgian)
 11. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 1989
Oman Kherkheulidze, the reign of Irakli II, prepared the text for publication, attached research, dictionary and search by Lela Mikiashvili, Tbilisi, 1989 (in Georgian)
 12. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, წიგნში: ისტორიული რარიტეტები, თბილისი, 1989
Iv. Javakhishvili, Relations between Russia and Georgia in the XVIII Century, 1919, in the book: Historical Rarities, Tbilisi, 1989 (in Georgian)
 13. З. Д. Авалов, Присоединение Грузии к России, С.-Петербург, 1901
Z. D. Avalov, annexation of Georgia to Russia, St. Petersburg, 1901
 14. П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. 2, С.-Петербург, 1869
I. G. Butkov, Materials for the new history of the Caucasus from 1722 to 1803, part 2, St. Petersburg, 1869 (in Russian)
 15. Грамоты и другие исторические документы XVIII столѣтя, относящіяся до Грузіи, Томъ II, выпускъ II, съ 1760 по 1801 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, С.-Петербург, 1902
Charters and other historical documents of the XVIII century, relating to Georgia, Volume I, from 1768 to 1774, Edited by A. A. Tsagareli, St. Petersburg, 1891 (in Russian)
 16. И. Дубровин, История войн и владычества русских на Кавказе, т. II, С.-Петербург, 1886
I. Dubrovin, History of Wars and Russian Domination in the Caucasus, vol. II, St. Petersburg, 1886 (in Russian)

17. О. П. Маркова Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, Москва, 1966
O. P. Markova, Russia, Transcaucasia and International Relations in the XVIII century, Moscow, 1966 (in Russian)
18. Новые Материалы для жизнеописания и дѣятельности С. Д. Бурнашева, бывшего въ Грузіи съ 1783 по 1787 г., Собраль и издаль съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С. Н. Бурнашевѣ, подъ редакціей профессора А. А. Цагарели, С.-Петербург, 1901
New Materials for the life and activities of S. D. Burnashev, formerly in Georgia from 1783 to 1787, Collected and published with the attached maps, portraits and facsimiles of S. N. Burnashev and edited by Professor A. A. Tsagareli, St. Petersburg, 1901 (in Russian)
19. Российский государственный военно-исторический архив, ф. 52, оп. 1/194, д. 286, ч. 1
Russian State Military Historical Archive, f. 52, op. 1/194, d.286, h. 1
20. Российский государственный военно-исторический архив, ф. 52, оп. 2/203
Russian State Military Historical Archive, f. 52, op. 2/203
21. Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien, ein Gutachten von Professor von Liszt-Berlin, Als Manuskript gedruckt, Wien, 1918
The position of the Republic of Georgia under international law, an expert opinion by Professor von Liszt-Berlin, printed as a manuscript, Vienna, 1918 (in German)

Davit Merkviladze

The Outcome of Signing the Georgiyevsk Treaty by the Kingdom of Kartli and Kakheti (1783-1787)

Summary

On July 24, 1783, the treaty signed in Georgiyevsk between the Kingdom of Kartli and Kakheti and the Russian Empire, radically changed political situation in the region. The Ottoman Empire was outraged as Erekle II came under Russian subordination and Russian troops arrived in his kingdom.

Encouraged by the Ottomans, Dagestan's leaders permanently raided East Georgia. The Dagestani raiders used to find their shelter in the territory of Akhaltsikhe (Ahiska) eyalet, from where they attacked the Georgian kingdom.

After the arrival of Russian troops in Kartli-Kakheti, Azerbaijani khans got afraid that they could lose their power and Islam also would be threat-

ened in their khanates. The khans' fear was exacerbated by the Ottoman envoys. As a result, khan of Ganja refused to obey king Erekle II, and the king's dominance over the Yerevan khanate was also extremely weakened. Erekle's former loyal and reliable political ally - the khan of Karabakh joined the enemies of Erekle II. King Erekle was left without his Muslim allies. Erekle II's political influence and authority quickly decreased with the loss of allies and increased frequency of raids of the Dagestanians.

In 1785, the intervention of Omar-Khan's troops in eastern Georgia showed the weakness of the Kartli-Kakheti Kingdom being in Russia's protection. Omar Khan's army destroyed silver and copper mining enterprises. As a result, the State Treasury lost its important source of income. Increasing raids of Dagestanis significantly deteriorated economic potential of the state. The rapid decline in trade began. Most of the merchants moved their funds, and relocated business to Russia. Agricultural production decreased. The population of villages decreased; commodity production in the country decreased, and the population of the kingdom got impoverished and reduced in number. The reduction of human and economic resources had badly affected the defense capabilities of the country.

The envoy of Erekle II to Russia, Garsevan Chavchavadze in his report to Gr. Potemkin pointed out the political and economic losses that Kartli-Kakheti Kingdom had experienced after entering protectorate of Russia.

No single request of Erekle II to get a loan for hiring troops or sending additional military forces from Russia was satisfied. The letters of King Erekle addressed to high Russian officials, as well as the ones written by his envoy in St. Petersburg G. Chavchavadze are indicative of the difficult situation in the Kingdom of Kartli and Kakheti. Disappointment of the king and his reprimands against the „protectors“ is expressed in the letters. Situation in the Kingdom of Kartli and Kakheti after signing the protection treaty with Russian empire was described in detail by the authorized representative of Russia to Erekle II's court S. Burnashev. He could not name a single positive benefit received by Georgia from Russia after signing the Treaty with her, following the arrival of Russian troops to the country, and listed a number of negative consequences.